ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №1

დაბა ქედა **24 სექტემბერი, 2021 წელი**

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:40 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: გოჩა გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
რამინ ბერიძე - კომისიის წევრი
მზია ბოლქვაძე - კომისიის წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯამბულ დიასამიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.09.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	მზია ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	რამინ ბერიძე	კომისიის წევრი	
5	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
6	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №33 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული ,,ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განისაზღვრა 2021 წლის 23 სექტემბრის დღის 18 საათამდე.

აღნიშნულ პერიოდში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის საკონსულტაციო დასკვნა №GOV 6 21 00033227 (შემოსული დოკუმენტი №95/04; 20.09.2021 წელი), რომლითაც გამოთქმულია შენიშვნები მხოლოდ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით.

სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ზაზა დავითაძემ განმარტა, რომ „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის პრეამბულაში აქტის გამოცემის საფუძვლად დამატებით მართებულია მიეთითოს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 141-ე მუხლის მე-10 ნაწილიც, რომლის თანახმად 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული სივრცითი მოწყობის გეგმები/მათი გეგმარებითი დავალებები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ასეთი გეგმის გეგმარებითი დავალების საფუძველზე შესაბამისი გეგმის შემუშავება კი შეიძლება დასრულდეს აღნიშნული გეგმარებითი დავალების დამტკიცების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის - ჯამბულ დიასამიძის განმარტებით, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სამართლებრივი აქტის პროექტში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის გაგადების შესახებ წინადადება კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე